

დროშა

ფასი განსაზღვრისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საქმიანობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სკელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროშის» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дроша»
«დროშის» ფასი
თბილისის წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან.
ქვესის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.

გამოდის ყოველ დღე (ორშაბათის გარდა)

მიიღება ხელის-მოწერა
ამ 1884 წლისათვის გაზეთს
დროშაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)
თბილისში, «დროშის» რედაქციის განტოვრებაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
კუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუღვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
ზორში, საზოგადოების დეკანოზი, აბალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дроша».
ფასი სკელის-მოწერისა:
წლით (12 თვით) — 9 მან.
11 თვით — 8 მ. და 50 კ.
10 თვით — 8 მან.
9 თვით — 7 მ. და 50 კ.
8 თვით — 7 მან.
7 თვით — 6 მან.
სოფლის მასწავლებელთა ფასი წლით — 7 მან., 6 თვით — 4 მან., 3 თვით — 2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მოწერა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში:

ხიზნების საქმის თაობაზედ
თბილისი, 13 იანვარი.
როგორც თითონ მკითხველმა იცის, ხიზნების საქმე ისეთი გახლართული, გამწვანებული საქმეა, რომ როგორც საზოგადოების, ისე ლიტერატურის მხრივ სიფრთხილით და გულ-დადებით მოაპყრობა უნდა, თორემ აქარება და მხოლოდ ერთი მხარის საბუთების მოსმენა საქმესაც აურ-დაურეეს და შეიძლება რამდენიმე ათასი კომლი სრულიად ულოქმა-პურად დასტოვოს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გონიერი ნაწილი თავდა-აზნაურობისა საქმიანობა დაინახავს ამ საქმეში პირუთვნელად მოიქცეს და ხანდის-ხან თავის ინტერესებსაც კი უარ-ჰყავს, თორემ სამართლიანობა და მყარდეს და შემდეგში ერთს მხარესაც და მეორესაც საქმეს სამხელოდ არ გაუხდეს.

ვალდებაროთ, რაც უსამართლო და შეწყვეტილია — იმასაც შესაფერი სახელით დაეღობოთ. იმდენი პირობები იმდენი პირობებით უთქვამს, რომ ხიზნები მოიჯარადრეები არიან და მოიჯარადრეების კვალობაზედვე უნდა მოვეყრათო. ჩვენ ვალდებულნი არა ვართ მათ რაიმე მამული მიეცეთ საბოლოოდ და თუ მაინცა და მაინც არ მოგვეშვებინან, მაშინ «ხვედრ მამულს» (ნადელს) მხოლოდ იმ ხიზნებს მიეცემთ, რომელნიც ბატონ-ყმობის წინა დიყვნენ და სახლებელნი, და იმ დიგილას, საიდანაც ვაღამოსახლდენ, მამული სრულდებით არა შეხვედრითო. ჩვენს საქმეში იგი ძეგლი მასწავლებელია და რა ძალა უნდა ჰქონდეს მას შემდეგში ხიზნების საქმის გადაწყვეტისათვის. ჩვენს ხიზნებს უფრო მანათ, მართალია ხიზნები მოიჯარადრეები არიან და მებატონის მამული იჯარითა აქვთ აღებული, თუ არა, მამულის იჯარით აღების დროს სამი პირობა უნდა აუცილებლად შესრულდეს: 1) იჯარით აღებული მამული უნდა შექველად გამოჩვენდეს სამხედროებზე ჰქონდეს; 2) მოიჯარადრე ვალდებული უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილი ფასი აძლიოს მამულის პატრონს, და 3) ვადა უნდა

დროშის რედაქციის სტატუსი... (1-1)

«დროშის» ტელეგრაფი, 13 იანვარი.
კოლკის უფროსი.
(წერილი ტრანზიზონიდან)
ივანე-კუგუნიძე,
«დროშის» რედაქტორი
სალიამალეიქუმს შორიდან მიმოსული შენი უმცროსი ძმა — მალაზიანი, და გულწრფელად ვისურვებ, რომ წლები-წლები წელს თქვენი ღომები — მტერი თხებად გადაქცეულიყვნენ და ეს უკანასკნელი შიშით ძრწოდენ თქვენთვის საყვარელ ბოსტნის წინაშე, რომლის დამორგუნველი და ამოხრებელი დღემდის იყენ...
მუწყი, ძიავ, შენი კეთილი ქართული გულის ამბავი, რომ არ დაიგვიანებ ჩემთვის ალიექუმ-სალამის შემოთვლას; ვუწყი იგიც, რომ შემომითელი: ჩემის მხრით ვისურვებ, მანდ ოსმალის საქართველოში საზოგადოებრივი შეგნება, ერთგული გრძობა, და საზოგადოებრივი ზნეობის დედა-აზრნი წარმატებაში შესულიყვნენ; კარგი გამგებლები და მოხელეობა პარვისა და ქურდობის უცოდინარნი აღიარებენ ნუ მოგაკლოსთ და სხ. და სხ. მართალია, მეფენი, ყველა ესენი მანდ, თქვენც არ დაგწავესთ პირს, მარა აღიარებთ ბილდურ, რომ თქვენზე უფრო ჩვენ ვართ მაგთვისებათ მოკლებულნი. მეტადრე

უბედურნი ვართ კარგის გამგებლებით და მოხელეობით, — განსაკუთრებით ამ უკანასკნელებით. სახელმწიფო და სახალხო ფულების მირომევა, ხელკეითების მძირე ჯამაგირებისაგან ჩამორჩენა და ამ-გვარის ნაცოდვართ დიდ-კაცურად ცხოვრება — ჩვეულებრივი, თითქმის ყოველ-დღიური მოვლენაა ჩვენებურ მოხელეთა შორის. თქვენ ვაგვიკვირდებათ ჩემი მოხსენება, რომ ყველა ამ რიგის საქციელის გამირნი ხელ-უხლებელად არიან მსმალეთის მთავრობისაგან, რომელიც ხალხის ბრბოს აზრით, თითქო კიდევ განზრახ ხელს აფარებდეს მათს ნაფარდობას. საზოგადოებრივი აზრი მაინც არასჯის მათ? — მკითხავთ თქვენ. საზოგადოებრივი აზრი ჩვენში ერთობ დაბალი ლობეა, თითქმის ყოველს მნიშვნელობის ნიშან-წყალს მოკლებული, რადგანაც ის ძალა, რომელიც ჰქმნის ძალუმს საზოგადოებრივ აზრს — პერიოდული მწიგნობრობა, მეტის-მეტად მოკაკულია სასტიკის... მესტრების მეოხებით. აქაური... მესტრები ერთობ ნიშანდურ-ამოცხებულსაგით ასრულებენ სტამბოლიდამ გამოგზავნილს მოწერლობათა სახელმძღვანელოდ... ამისთანა სახელმწიფო მდგომარეობით სარგებლობენ ჩვენი მსმალის ბურჯისტანის რიკოვები — სამხედრო თუ სამოქალაქიანი — რომელთაც იპოვენ უძალ

ლო სოფელი და შიგ თამამად დაბანდებიან უჯობად, ანუ უკეთესთქვათ, დასეირნობენ ათასობით ძვირფასი ლანდობით...
ამის დასურათებისათვის წარმოგიდგენთ შემდეგ ფაქტს, უკვე ნამდვილად ცნობილს საზოგადოებისაგან და დამტკიცებულს, უკაცრავად, უნდა შეთქვა ოფიციალურად აღიარებული-თქო. მით უფრო სამწუხაროა ეს ფაქტი, რომ მისგან დაზიანდენ საწყალი გურჯისტანელები, რომელთაგანაც მთლად შესდგებოდა აქაური ცხენოსანი პოლკი, რომლის უფროსმა თვით (ჩვენ და სასირცხოლ) გურჯმა უწყალოდ გააცურა ხელ-ქვეითნიც და ხაზინაც...
რაკი ამ საქმეს თქვენს გაზეთში ვამქლავებ*, ძვირფასო ივანე-ეფენდი, იმდენი მაქვს სადრაზამი (სამხედრო რჩევა) სტამბოლში ყურადღებას მიმეცეს მას და ამიტომ, საქმიანობა ვრაცხ, ცოტა უფრო დაწერილებით გიამბოთ ამ შემამძრუნებელი საქმის ისტორია.
იყუ და არა იყო რა და ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, და ღმერთს კაცის გასამდინებლად მსმალეთში

პოლკის უფროსობის თანამდებობაზე უკეთესი არა გამოუგონია. მს რომ ქვეითი პოლკის უფროსობაზე ითქმის, ცხენოსანისაზე ხომ ორჯეცად უნდა ითქვას... მათემატიკურის ენით ეს სიტყვები ასე გამოითქმება: ქვეითი პოლკის კომანდირს წელიწადში ჯამაგირს ვარდა (3,000 მ.), ჯანაოზი ექიმის რეცეპტით ვრგება წელიწადში, ისე რომ მთავრობისგანაც კი მადლობისა და ჯილდოს მეტს არაფერს მიიღებს, — 20,000 მეჯიდიეს (თათურის მეჯიდიე უდრის რუსულს 1 მან. და 14 კაპ.); ცხენოსანი პოლკის კომანდირს კი იმავე რეცეპტის მეოხებით ხელდება — 40,000 მეჯიდიე! ახლა, ძიავ, წარმოიდგინეთ რა გადაპარბება დასტირდება ჯანაოზი-ექიმის რეცეპტს იმ პოლკის კომანდირისაგან, ვინც ამდენს მეჯიდიეს არ დასჯერდება და იმდენს მოინდომებს, რომ თვით ამ ნაირის პარკის მფარველი აღმუთა დებიან და უბანდებენ: «სუსი კმარა, ნამეტანი მოგივიდა; ისევ ამოყავე თუ არაო და!...»
სწორედ ამისთანა გადაპარბება მოუვიდა ჩვენს გმირსაც... მშვენიერი სქესის ერთი წარმომადგენლის წყალობით ამ ეპიტრონს პირველად მისცეს ცხენოსანი პოლკი, რომელსაც უფროსობა ორი თუ სამი წელიწადი მშვიდობიანად... მართს მშვენიერს დღეს თავზე მხებად დაეცა ბანდება

* მინდოდა აქაურ ტრანზიზონის გაზეთში დამეჭვდა ეს ამბავი, მაგრამ, როგორც მოგახსენე, ჩვენი ნიშანდურ-ამოცხებული... მისტერი არ გაუშვებდა და ამოცხადებდა თქვენ მოგმართეთ.



იყოს დანიშნული, რომლის შესრულების შემდეგ იჯარის პირობები უქმდება და მამულის პატრონი ისევ სრული პატრონი შეიქმნება თავის მამულისა.

ძნელად დაგვისახელებთ რომელსაში ხიზნის, რომელიც ასრულებდეს ამ სამივე პირობას მოიჯარადრობისას. შემეტყვი ნაწილი ხიზნების დასახლებულთა იმისთანა ალაგებში, სადაც ერთი მებატონის მამული მეორისაგან სერით სხვაზე გადასება და სერი, როგორც მოკვებისათვის, ხშირად მეტისმეტად ფართოა, ასე რომ ნამდვილი სამზღვრის გაყვანას უსიამოვნობა და განხეთქილება მოსდევს. ხშირად მებატონე ამ სათუთ ალაგებში ხიზნებს იმიტომ ასახლებს, რომ, რაც შეიძლება, მეტი ადგილი დაიჭიროს და შემდეგ მამულზე დავისდროს, ესევე ხიზნები მოწმებად გამოიყენოს. ამ შემთხვევაში ხიზანი საბუთია მფლობელობისა და შემამულეს იგი ძვირფასს სამსახურს უწევს. ხიზანი ჩადის ამას, მაგრამ არც ერთი მოიჯარადრე არ მოინდომებს სადაო ალაგზე დასახლებას და ხშირად მოცილებს მამულეთა შორის თავის სიკაცობისა და ქონების მიწიში ჩაგდებას.

მეორე პირობა, ესე იგი, გადაწყვეტილი ფასის ძლევა თითქმის არსად არ არის შესრულებული. ხიზანი მამულის პატრონს აძლევს მხოლოდ «სამსახურს», ესე იგი, როცა გუთნას შეიტანს თავისაგანვე გაკეთულ ახლში, მებატონეს უნდა მისცეს რომელიმე ნაწილი შემოსავლისა, მიუტა-

ნოს რამდენიმე ურემი შეშა, ფიხი, როცა მებატონეს დასჭირდება, ცხენი, ან საქონელი, ათხოვოს; მუშად გავიდეს, როცა მებატონე დაიბარებს; მართვას შობა აღდგომას ძღვენი და სხვ. მერც ერთი მებატონე დაახლოებით ვერ გიანგარიშებთ ხიზნებისაგან ესა-და-ეს შემოსავალი მაქვსო, რადგან ეს შემოსავალი ყოველ-წლივ იცვლება იმის კვალობაზედ, თუ როგორი მოსავალი იყო, ან ხიზნები როგორ კეთილ-სინიდიხიერად მოიქცნენ, ან მებატონე როგორ ქეიფებდ იყო და შეაწუხა თავისი ხიზნები, თუ გულ-ჩვილად მოექცა და მოსავლის კვალობაზედაც კი ნაკლები გადახდევინა.

მესამე პირობა—გადაჭრილი ვადა ხომ სრულებით ახალი გაგონება როგორც ხიზნებისათვის, ისე მებატონისათვის. ხიზანი იღებს მამულს, მეტადრე ტყეს, ჰკაფავს მას, ახობს აკეთებს, შეაქვს გუთანი, ველურ ხეხილზედ კაი ხილს ამყრობს, იკეთებს სახლ-კარს, ბოსელს, ერთს სიტყვით, ბინას იმზადებს არა შეიძლება და ათის წლისთვის, არამედ სამუდამოდ და, როგორც მებატონე, ისე თითონ ხიზანი გულ-დაჯერებულნი არიან, რომ უკანასკნელი სამუდამოდ ფეხს იკიდებს ახალს მამულში და მებატონესაც თავში არ მოუფა, რომ ხიზანი აქედგან გადაასახლოს სადმე. თუმცა ხიზანი ამ შემთხვევაში ხშირად მამულს უზიკად ექცევა და ტყეს ისე ჰკაფავს, როგორც შესეული მტერი, და თუმცა ამ გვარი ბარბაროსული მოქმედება რაიმე ღონისძიებით უნდა

ეგ პოლიკა ეხლავე გადაეცი ამა-და-ამ ჩურჩუტა-მირალაისო (პოლიკონიკს). რალას იზამდა... ხმებია, ვითომც ამ გადაცემის დროს, მან შეაცდინა ჩურჩუტა-მირალაი, რომელსაც მისაღებ ანგარიშზე კმაყოფილების ხელი მოაწერინა და ამ ნაირად რამდენიმე ათასი მეჯრიდევ ხელთ იგდო. ამის სინამდვილეს ვერ დავიფიცავთ, მხოლოდ ყურადღებას მივაქცევთ თქვენსას იმ გარემოებაზე, რომ ის ჩურჩუტა-მირალაი და ეს ბინ-ოლი მირალაი დღესაც უკმაყოფილოდ არიან ერთმანერთთან... ჩამორთმეული პოლიკის ნაცვლად ჩვენი წერილის გმირს მისცეს სულ ჩვენებურებისაგან შემდგარი პოლიკი, რომელსაც ჰქვიან, ანუ უყვედ ესთქვათ, ერქვა ტრაპიზონის... პოლიკი. ამ პოლიკის კომანდირობაში ბინ-ოლიმ პირველ წელიწადსავე წაჭკრა ფეხი. თუმცე ერთს დღეს მისი ხანუშისთვის გული-მოყვანინებინა მზარეულს, ვილაც გადმოვარდნილს იმერელს მანძქეს. მირალაიმ ბძანა სამხედრო საპატიმროში ჩასმა მისი რამდენიმე დღის ვადით. საპატიმროში ხრიკიანს... შემდეგი კითხვა მოუვიდა თავში: ბიჭოს, სადაური მხედარი ვარ მზარეული, მირალაიმ რომ სატუსალოში უსამართლოდ ჩამაჯდინა? შამოსელის შემდეგ გაიგო, რომ მირალაის სხე, მართლა მხედარის მანძის მაგივრად ჩაუსვამს იგი საპატიმროში...—იმე, აქ მგონია, სი-

ყალბე უზმარია სულთანის კანონისა და მამედის ყორანის წინაშე ბატონს მირალაისო იფიქრა მზარეულმა და მიჰმართა ვექილს. ვექილმა უთხრა, გაკეთდა შენი საქმეო და გაუშანაშალა არზა მუშირ-ფაშასთან ქ. სმირნოში... მუშირმასსტიკად ბძანა—«ან ეხლავე დააკმაყოფილეთ ბატონი მანძი, ან და ეს არის მიგეცით პასუხის-გებასა თქვენთვის მეორედ მოსვლისასაო». სიმწარის ოფლ-გადასქდომილმა ბინ-ოლიმ დაუწყო მოციქულების და დეპუტატების გზაენა ბა-ტ-ო-ნ-ს მანძეს,—რაც გინდა მთხოვე, ოღონდ ამ ხათბალას გადამარჩინეო. მაიდგა ფეხი თავ-გასულმა «ბატონმა»... როგორც იქნა, მოკრიგდენ და ამორებულ იქნა მუშირის რისხვა... მაგრამ, ვაი ამისთანა ამორებას! ერთი ეს რომ მაშინვე აქაურმ მესტიერებმა ამის თაობაზე გამოთქვეს და მთელს ოლქს დაასწავლეს შემდეგი ლექსი:

მბიბი-ო-ღლი მზარეულს სთხოვს «გამამაშვირე ხედა, ჟანუმ, მიიღე ოთხმოცი თუმანი სულ წითელა, ლღონდ, ინებე და მოსხე ეგ შენი არ-სა სქელა, — თვარა-და ესლავ გამოგვჭერ მე და ხანუმსა ყელა!» მიიღო ბ. მანძემ 800 მეჯრიდევ და მოსპო საჩივარი, მაგრამ იმისთანა შენს მტერს! მეორე დღესვე გაზნოს

შესაზღვრულ იქმნას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი მებატონე ულონოა და სწორედ განსაკუთრებული შემთხვევა რამ უნდა იყოს, რომ მებატონემ შესძლოს ხიზნის თავიდა მოშორება და სადმე გადასახლება.

როგორც ჰხედავს მკითხველი, მებატონესა და ხიზნებს შორის დამოკიდებულება სრულებით არა ჰგავს მოიჯარადრობისა და მამულის პატრონის დამოკიდებულებას, და თუ მებატონეებმა ამ ბოლოს დროს ხიზნებს სახელი გაუბტყელეს და მოიჯარადრებდად მონათლეს,—ეს იმიტომ, რომ მოიჯარადრობის ადგილად მოშორება კი შეიძლება და ხიზნისა კი არა.

მაგრამ მაინც სამართალი მოითხოვს ვალდებულებით, რომ ხიზნების საქმე ისე ადვილად გამოსარკვევი და ადვილად გასათავებელი არ არის, რომ კმარა იყოს მათი მოიჯარადრობის ხარისხში აყვანა და ამ გარდაწყვეტილებაზედ დამყარება. ხიზნის ბევრი იმისთანა სამსახური მიუძღვის მამულის პატრონის წინაშე, რომ აუცილებლად საქორაო დიდხნობით დასახლებულ ხიზნებს, რომელთაც კი იმ ალაგას, საი-დამაც გადმოსახლებულან, მამული არ მოეძვეებათ,—სხვა გლენ-კაცებსაც თუ «ხეცრი მამული» (ნადელი) მიეცეთ. ამას მოითხოვს როგორც სამართლიანობა, ისე თვით ხიზნების ინტერესიც. ჩვენის აზრით იმათაც კი უნდა მიეცეთ ეს «ხეცრი მამული», რომელთაც თუმცა აქეთ მამული უწინდელს ადგილზედ, მაგრამ იმისთანა ხრიოკი და უნაყოფო, რომ ამ უნაყოფობას ძალა დაუტანებია სხვა-

«ჯერადეა-ჭკადისში» მთელი ისტორია არ დაიბეჭდა ამ საქმისა... წამწარდა კატას ნიორი... თუმცა ეს ნიორი მაქარლამად ჩათვლება იმ ნაღველასთან, რომლის გემოვნების გასინჯვა ამ ბოლო დროს მოუწინა ბატონს მირალაის.

მცოდნე და გამოცდილი აფიცრები პოლიკისანი თავდა-პირველადვე წინასწარმეტყველებდენ, რომ ჩვენი ახალი კომანდირი ერთობ მსუნაგურად ეყრობა ფულებს და მალე გაემბება ახეშიო. საზოგადოების თვალში ამ წინასწარმეტყველებას იმ შემთხვევამ შეჰმატა ფასი, რომ მსუნაგურად ფულის მომპყრობმა მირალაიმ პოლიკის ნივთიერი ნაწილის ზედამხედველად თავისივე აფიცრთაგანი კი არაინ დანიშნა, არამედ ქ. არზრუმიდამ მოაბძანა ერთი ვილაც უადგილო აფიცერი, სანსახურიდამ ძალად დათხოვნილი და სისხლის სამართლის საქმეში მიცემული—რომელსაც კანონით უფლებაც არა აქვს სამსახურისა, მაგრამ—აღლანმა უწყის, ვისთან და როგორ მოუხერხა ბინ-ოლიმ, რომ ამისთანა თანამდებობის მიცემა შესძლო მისთვის? პასუხს თავი დავანებოთ, ჩვენ ის ფაქტიც გვეყოფა, რომ ამისთანა აფიცრს მიანდო ეს თანამდებობა მსუნაგმა მირალაიმ. მიანდო და უთხრა:

— მსეც შენ თანამდებობა და ესეც შენ პოლიკის ფულებით სავსე ყუთიც.

გან მოეძებნათ ახალი ბინა და ახლად ცდილიყვენ სახლ-კარ-ბინადრობის მოკიდებას და სახან-სათესი მამულის გაკეთებას...

შინაური ძროხისა

ქართული წიგნების ნაკლებ-ვანება თელავში. თელავიდანა გავწერს: «საგვირველ სიდატაკს წარმოადგენს ამ ყამსდ თელავი ქართული სასულმძღვანელოების და საზოგადოდ ქართული წიგნების მსრავ. მთელი თელავი რომ დაიხროთ ერთ ხეობან წიგნს ვერ იშოვით. თელავის საზოგადოება ამ ნაკლს ადგილად იტანს ერთი-მეორისაგან წიგნების თხოვნით, მაგრამ არა წიგნის სოფელში მტყვრებმა, როდესაც სასულიერო წიგნსაც ვერა შოულობს? ბევრი მოდინა დეპოში, ჰკითხულობენ წიგნებს, მაგრამ ვეგლას ერთი-და იგივე მასუხი ესმის დეპოას დასვადროსაგან—«არა ბეჭებს».

ასე გასინჯეთ, ერთი «დედა ენის» შექმნას მოსწავლე ბავშვმა უნდა უფადას ხუთი-ექვსი თვე და ხშირად წელსადაც. თუმცა ამ გვარ სასულმძღვანელოების შესახებ თელავის სამკვლელოებასა აქვს აქაურ სასულიერო სასწავლებელში ფული გადადებული ბ. მთავრელიშვილის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ დანიშნულ ფასზედ იმდენად მეტს დებულობენ, რომ უბრალო მოკატრეტ კი არ იკადრებს იმ სიდიდე საჩუკების ადუბას... მაგალითად, «დედა ენის» იბარებს სასულიერო სასწავლებელი არა ნაკლებ

მა იკოდე, შენც ჰამე და მეც მაქამე, გესმის...»

— მესმის, ბატონო მირალაი! იქმნების ნება თქვენი აღსრულებულ ყურ-მოჭრილის ყმისა და თქვენის ფეხთა-მტერის ლლავ-ოლისაგან!

მირალაის გადაჭკრა სიამოვნების ღიმმა პირზე, ტუჩები აუწმაცუნა ფულებისაგან წინ-და-წინ ნაცემმა სუნმა და არქმეინა მისი ყურ-მოჭრილ ყმისათვის:

— მაშ იახში?

— იახში, იახში მირალა მეწენ-ღუმ!

...მართლაც, ამ ორივე ბატონებმა ერთმანეთის წაქეზებითა და ფარვით ხელი ჩაწყვეს დახლში, ფულები წიკეს სახლში, მეჯლისები მართეს ბაღში, ბევრი აგეს კარტში, თვით სულთანს აჯობეს ხარჯში და ბოლოს (აღსრულდა წინასწარმეტყველება ისაიასი) თავი ამორგეს სხარტში!.. ამორგეს და მიეცნენ ურთი-ერთსა ზედა ღრტენასა კბილთასა. რამეთუ ჰქვიან ბინ-ოლიმ ლლავ-ოლის: «შენა ხარ ქურდი. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამას. უშველეთ თავსა, როგორც იცი. მე ხელი განმიბანია ყოველივე შენის ცოდვთაგან». მიუგო ლლავ-ოლიმ: თქვენა ხართ ქურდი. არც ერთს დაბალ ხინს თქვენის პოლიკისას სრულად არ მიუღია ჯამაგირი, რადგანაც რაც მათ დავაკელით—თქვენის ბრძანებით, არ და-

სამოცი-ოთხმოცის კვანძებისა, და-
კომბა გამომეცდისაგან სუთ-ს-თ მსუ-
რად თითო კვანძისა. სასულიერო
სასწავლებელში კი ჭვიდან კვანძს მსურად და
სამ კანკადას—სე რომ სუთ-მსურედ
რვა კანკადას იღებენ სარგებელს...

თუ რომ თუაზის სამღვდელთა
სურს, მცირე რაღონი არის, ხალხში
წერა კითხვის გავრცელებას მოუძაროს
ხელი, უნდა გამოეწვიოს სასულიერო
სასწავლებელთა და გამოსწავრი ფულიც სასო-
გადობის დეპოზიტში გადაიტანოს, რად-
გან, რომ გარე თუ სასულიერო სათვის, კბ-
რეთუ მთელი მასწავლის ხალხისათვის დე-
პო სასწავლო ალაგია უოკელ გარ ბ-
ჭირებისათვის».

გულანის ნორმალური სკო-
ლა. დიდი ხანი არ არის, გვერდს
კულანში, რაც ჩვენში ნორმალური
სკოლა დაარსდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით
ამ სკოლის საქმე ისე არ არის დაწყე-
ბული, რომ სამუდამოდ დასაგუთრება
შეგვეძლოს. სოფელი ორ პარტიად გაი-
ყო სკოლისათვის საჭირო ალაგის თა-
ბაზე და ამ პარტიობამ ისა ჭქნა, რომ
დღემდის ეს ალაგა ვერ ამოურჩევათ,
და სკოლა სწორად ერთის სასლი-
დამ მერეში გადადის. ეს გარემოება
აქნებს თითონ სკოლის წარმატებას და
რეიანი მასწავლებელიც ვერ სძლებს.
ამას წინადა სკოლა გამოეთხოვა ამ მი-
ზეზითვე მასწავლებელს ნაყარამეს, რომ
მედიც შეგირდებს თავის მამად მიან-
დათ და რომლის წასვლამ საშინლად
დააღონა ივანი. ესაა მანც იმედა,
რომ პარტიობა მოსხობა და შუაგულ
სოფელში ამოურჩევენ შესაფერს ალაგს,

თორემ უთანხმოებას შეუძლიან კულანს
სრულიად გამოსწავლის სკოლა, რაზე-
დაც იყო გადავ ლაზარაგი.

გაკავის სამხედრო ოჯახის სა-
სამართლომ, 10 ანკარს, შტაბს-კაპი-
ტანს მიმწინვოს გადაუწვიტა რვა წლის
გატორდა, მასწავლებელი მომსახურის მოკე-
ლისათვის. მაგრამ, იმის გამო, რომ
დანაშაულებას აქვს შეამსუბუქებელი სა-
ბუთები, სასამართლომ დაადგინა იმუდ-
გომდოს ხელმწიფე იმპერატორის წი-
ნაზე, რათა მიმწინვოს ექმნეს გადასახ-
ლებული ციხისა და მოკრებულს ადგი-
ლებში, მხოლოდ ჩამოერთვას უოკელ
გარნი ღირსება, ჩინები და საცხოვრებე-
ლო. («Новое Обозрение»).

იგივე გარეთი გვატყობინებს
ქალაქის გამგებების სურვეტის ამოწმ-
ვას, რომელიც მოხდა 9 ანკარს.
ორი კანდიდატი იყო წარმოდგენილი:
სტ. გულანის მამაროვი და აკ. ტიგრა-
ნოვი. პირველი დასასვლელა 18 ხმისა-
მა, მეორე—ოც-და-სუთმა. ქალაქის თავ-
მა გამორჩენდა ხმისაგან, რომ ბ. გუ-
ლიანის მამაროვი მომანდოდა—მის მაგერ
უარა ეს თქვა ხალხისათვის. უფ-
რეს კენჭი მხოლოდ ბ. ტიგრანოვს
რომელსაც 32 ამომრჩეული ხმა ერგო
და 13 ხმა მისი წინააღმდეგი ამოწმდა.
ბ. ტიგრანოვი დაინიშნა სურვეტად

(28-100)

რუსეთი
—გაზ. «Новости»-ში განხილულია
სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი 1884

გაეწყდეთ—ის თქვენს ჯიბეს შეემა-
ტა. ჟურაქის ფული 2/3 თქვენს
ჯიბესა შინა ჩადის—ეს იცის ყველამ;
მაშ რაღა პირით მეუბნები, შენა ხარ
ჭერდი, როდესაც თქვენა ბანკით,
მევენდუმ-ჯან, ქურდი ჩემი დანაშაუ-
ლი მხოლოდ ის არის, რომ მიწის
ქურდობას განზე ვუყურებ და როცა
ენიშნავ, რომ რომელიმე მოსაპარავ
დასტას ხელი ააქდინეთ, მაშინ მე
მიმაქვს იგი დასტა, რადგანაც ერთი
დასტა გინდ ნაკლები იყოს გინდ მე-
ტი—არც არაფერს დაგებმარება, არც
არაფერს წავიხდენს...

—ხმას ნუ იღებ, ლაგა-ოლლი,
თორემ როგორც აგამალე, ისეც
დაგამდაბლებ,—პრადეთში ამოგაკრე-
ვინებ თავს!

—ამას კი შესძლებ, ვერ დავიფი-
ცავ. მაგრამ გეფიცებით, მე თქვენ-
თვის პრადეთს იქით გავაჩენინებ ბი-
ნას.

—..ბინ-ოლლის უბედურ მაგის თქმას?
..ბინ-ოლლი არ ვყოფილვარ, თუ...
არ გამუშავო.

—ოჰოჰო, მირალაი შევენდუმ
მაშ თუ მაგრეა და ფიქი არ ვყოფილ-
ვარ, თუ იმ მეკატარლეთა ფეხის-აღ-
გილი არ ვაწმენდი, ტრაპიზონის
ფულის ყუთის მაგიერ...

—თავს პატრივი დასდე, მევენდუმ!
როგორ მიბედავ მაგისთანა სიტყვებს
მე, პოლკის უფროსს, მირალაის
რას ეუბნები სამხედრო დისციპლი-
ნას, სუბორდინაციას, კანონს??

—მეჰ, მევენდუმ მირალაი—ეშ-
მაკურის თვალის ხუჭით და სარკა-
ტიულის ღიმილთ მიუგო ლაგა-ოლ-
ლიმ: სად მე და თქვენ და სად კა-
ნონი?! ჩვენ ორივე ერთსა და იმავე
წუთს, ერთსა და იმავე ხეზე ჩამო-
საღრჩობდები გართ, რომ კანონი იყოს.
მაშ, ისევე ერთმანეთს მხარი მივსკეთ,
ურთიერთ-შორის მოვირიდეთ—ისა
სჯობია, თორემ მაგითი ვერ დამაში-
ნებ და ჩვენ ორთავეზე მგელს კი გა-
ახარებ! მერწმუნე, მოვირიდეთ და
მგელი კუდა-ამოძუებული გაიპარება...

..ბინ მირალაის მოეწონა ეს ჩი-
ვა. მართლს წამის წინად მოსისხლე
მტერი ახლა დამოზობილდენ,—მეგობ-
რებად შეიქმნენ. შეპკრეს ურთი-
ერთს-შორის მოგერებობი და ზედ-
დასხმითი ზავი შემდეგს საფუძვლებზე
დაყარებულნი: ლაგა-ოლლიმ მო-
ახსენა მირალაის, შენ მხოლოდ და-
მიმოწმე, რომ მე უშენოდ არაფერი
დამიხარჯავს, და მე იმისთანა ვაბე-
რილს ანგარიშს შევადგენ, რომ პირ-
იქით დავადებ ხონტქის ხაზინასა.
მირალაი დათანხმდა, ლაგა-ოლლის
გაენარდა და ფიცსავე შეადგინა ან-
გარიში... მოვიდა ჯარის დასათვალი-
ერებლად ლია-ფაშა (ღივიზის უფ-
როსი); მოითხოვა ანგარიში. წარუ-
დგინეს. ნანა. ნანა და შესძახა...
ბინ-ოლლი და ლაგა-ოლლი, წარ-
მოდგეთ ჩემს წინაო. წარსდგენ
ცახცახით და კბილთა ღრქენით.

წ. ჩვეულებრივი შემოსავალი უნდა იყოს.
ქინანსთა მინისტრის ანგარიშით, 709 1/2
მილიონი მანათი, ჩვეულებრივი გასავა-
ლი—721 1/2 მილიონი, ასე რომ ბიუ-
ჯეტში დააკლდება მხოლოდ 11 1/2 მი-
ლიონი. ამ დეფიციტს კიდევ არა უშავს-
რს, მაგრამ თუ შესდევობაში ავიღებთ
არჩვეულებრივს გასავალს, მაშინ დეფი-
ციტი ადის 86 1/2 მილიონამდის. აქედამ
50 მილიონი უნდა მიეცეს პანკსა და
24 1/2 მილიონი დაისარჯოს რეინს-გუ-
ბის გაყვანაზე სახელმწიფოში. ამ სა-
ხით, 1884 წლის ხარჯი ადის 802
მილიონამდის. თვითონ ქინანსთა სამი-
ნისტრო ალვარებს თავის ანგარიშში,
რომ წლეგანდელი წელიწადი არ არის
აგრე რიგად ხელის შეწყობა საზინი-
სათვის, მაგრამ არც კი ძლავს უნდა
გვაშინებდეს ეს ამბავი.

—იგივე გარეთი ამბობს, ეთომც სა-
ხელმწიფო რეკავში განისაზღვრა ქინანს-
თა მინისტრის შედეგი არა: რადგანაც
ტრანქტორებში გასწილ ბოთლობით
არვის გაუდგავსე დიდი გადასახადი იყო
დაწესებული მოწმობისათვის, ამიტომ
ბუკრნი ვერ შესწავლენ ასეთ გადასახადს და
ვერ გაბედეს მოწმობის აღება. გარდასახადი
რომ შევიდრდეს, ამბობს მინისტრი,
უბრუნდა, უფრო ბუკრნი გაჭბუდენ მოწ-
მობის აღებას არვის წავიდავ გაუდგვი-
სათვის და საზინასაც მოვამტება შემო-
სავალი.

შენსკოეთი
—მგვიტის ჯარის უნიკობამ და
უხვირობამ დაარწმუნა ინგლისი, რომ

—მე ვინ ვარო,—ჰკითხა მათ ლი-
ვა-ფაშამ.
—თქვენ... თქვენ ბრძანდებით
ლივა-ფაშა!..

—მერე სულელად ჩასავდები ვა-
რო თქვენგან?

ორი ოღლები მიხედენ, რომ
კული ვერ დამალათ რეიანად...
ზადეკრათ ნატრის ფერი, თვალ-წინ
წარმოუდგათ რა წარსული ცხოვრე-
ბა, როცა ცურავდენ ფულში და
მომავალი სურათი ბუნდიანი თავის
საშინელებით...

—პრა, შევიღოსა, თქვენისთანა
ოღლები მანათს ტამარაში ვერ და-
მალენ... ამ ანგარიშში ცხადად
სჩანს, რომ ლაგა-ოლლის «მოუ-
ფიქრებლობით» და ..ბინ-ოლლის
«მიუხედავლობით» აქ «შეცდომით»
არის უმართებულოდ ნაჩვენები გასა-
ვალში 32,000 მეჯიდიე, რომელიც
ფიცსავე უნდა შეავსოს... ბინ-ოლ-
ლიმ, ვითარცა მთავარმა პასუხის მგე-
ბელმა პოლკის საქმეებში, თორემ
კანონიო!..

და კანონით ორივე ოღლი უნდა
მიცემულ-იქმნან სისხლის სამართალ-
ში, რადგანაც ფული ვერ შეავსეს
და ვერც შეაგებენ,—თვითონ ერთი
ყურუში (შაური) არ მოეძევათ, და
ნდობით ეხლა მათ ბაწარს არ ანდო-
ბენ თავის დასაღრჩობად:
«სევა ესე ამბავი,
მართაშვილო ბეჩაერ»

იმით არ შეუძლიანთ არც სულანის
ალბა და არც ხართუმის დაცვა;
ამისათვის ინგლისმა იძულებულ-ყო
მგვიტის მმართველობა თავის ჯარის-
თვის უკან დაეწვიინებინა სულანადამ
და მისი არე-შარე ლეთის ანაბრობაზე
გაეშვებინებინა. ინგლისის ამგვარს
გარდაწყვეტილებას, როგორც გაზე-
თები გვაუწყებენ, ძლიერი შთაბეჭ-
დილება მოუხდენია მსმალეთის რატი-
ცილოურს წრეებში. აქა ჰეიქრობენ,
რომ ინგლისის კაბინეტის გარდა-
წყვეტილებას ძლიერ ცუდი შედეგი
მოსდევს, როგორც მგვიტისთვის,
აგრეთვე თვით ინგლისის მმართველო-
ბისათვისაც, ე. ი. ეს გარდაწყვეტილება
სულანის საქმეს უფრო გააძვილებს,
და ეს სიძვილე ღიღანს გასტანსო.
მგვიტის სალდათები რომ მართლა
უნიკონი და უხვირონი აღმოჩნდენ,
ამაზე ეხლა ეჭვი არავისა აქვს, და
ამის გამო ჯარების უკან დაწვიაც
ყველას მართებულად და გონიერუ-
ლად მიჩნიათ. მაგრამ ამასთანავე
იმასაც ჰეიქრობენ, რომ მხელი არ უნდა
დასტოვონ სულანის პროცესების
სრულ მფლობელად, ბატონად; თუ
მხდის არაერთარი დაბრკოლება არ
დახვდა წინ და კიდევ რამდენ ჯერმე
გაიმარჯვა, მაშინ იმას უფიქარი მუ-
სულმანები ნამდვილ წინასწარმეტყვე-
ლად ჩასთვლიან და მის წარმატებას
გაძლიერებს მაშინათვე ლეთის ნებას
მიაწვიენ, ამისათვის გაუცილებლად
საჭიროა ცრუ წინასწარმეტყველის
სრულიად შემუსვრა. მაგრამ ვის შე-
უძლიან შემუსროს იგი? ეს მარტო
ინგლისს შეუძლიან, მაგრამ ინგლი-

ხან-და-ხან შენი წაგართვის,
ხან-და-ხან სხვისი შეგრაჩაო!..

მხოლოდ მათი სისხლის სამართალ-
ში მიცემის საქმე ერთობ იგვიანებს,
თუმცა ჩვენ ვერც ეს ვაგვაკირებებს
და ვერც ის, რომ მთლად ჩააფუჩე-
რონ ეს გაცარცვა სახელმწიფო ხაზი-
ნისა და რაოდენიმეც კიდევ უბო-
ძონ ამ ჩვენს ოღლებს... ჩვენში ამ-
ბობენ: «ახახამა სთქვა, ამ ისარს კი-
ვისგრი და მოხვდება, თუ არა—ის
ლეთის ნებააო». ამის თქმისა არ იყოს,
რაკი ვერ გამოვაშკარავეთ ეს საშინე-
ლი ბოროტ-მოქმედება გურჯისტე-
ლების პოლკის უფროსისა, თქვენს
გაზეთში ვთხოვლობთ სამისოდ ბი-
ნას და, იმედია, კიდევმოგვეცემთ.

ამის შემდეგ, თუ სათანადო ყუ-
რადლებას მიაქცევს მსმალეთის მმარ-
თებლობა და დამნაშავეთ დაუსჯე-
ლად არ დატოვებს, ხომ კეთილი და
თუ არა—ანასუნი მისს საქმეს! თეი-
თონ სდომებია, რომ გაცურონ
ხოლომე, და დევ გაცურდეს... მაგ-
რამ, რაც მანამ ჰკუთით მოიგოს, იგი
მისს ყველაყას დაქაღნოს!..

დავშობი მარად თქვენი პატრიარქის
ოსმან-აღა მამულაჰე
1333 წ. გადგონას. მომიტევეთ იესო
(1884).
ქ. ტრაპიზონი.



სის ამ საქმეში ჩარევას ბევრი და-
ბრკოლება აქვს, — რომ ჩაერვიოს ამ
საქმეში, ამით ისეთს უკმაყოფილებას
გამოიწვევს, განატიკოსი მუსულმანე-
ბისას, რომ თუ არ იარაღით, სხვა-
ფრივ ევლარაფრით დაიფარავს თავის
უზენაესობას მეგობრებში. მხდის შე-
სამუსრავად ყველაზე უკეთესს საშუა-
ლებად მიანიბათ გაგზავნონ იმის წი-
ნააღმდეგ მსამაღეთის ჯარი. ხვებია,
ეთომც თვით სულთანსაც ეთქვას,
რომ მხოლოდ ამ საშუალებით შე-
იძლება მოისპოს აჯანყებოა. ინგ-
ლისსაც ის განზრახვა აქვს, რომ ეს
ძნელი და ხათბალა საქმე პორტას
მოახვიოს კისერზე, მაგრამ, როგორც
განეთებდამ სჩანს, ძნელი სათქრე-
ბელია, რომ სულთანის მმართველო-
ბამ იკისროს ეს მძიმე ტვირთი.

— მეგობრის ჯარების სულანიდამ
უკან დაწევას და ხორთუმის თავის
დანებებას, დიდი უკმაყოფილება გა-
მოუწვევია ჭრანტუზების მხრივაც. ისი-
ნი ამბობენ: თუ ინგლისი, რომელ-
საც მეგობრე დაქტიკურად უპყრია,
ხართუმს თავს დაანებებს და იქაურს
ევროპიელებს, ე. ი., საფრანგეთის და
პესტრო-მენგრის ელჩებს და სხვათა,
დაუტოვებს უდაბნოს ველურ ჰორ-
დათ ამოსაღლებად და შესაგინებ-
ლად, მაშინ საფრანგეთი უქველად
უნდა ჩაერვიოს მეგობრის საქმეებშიო.
იმას სრული უფლება აქვს დაიცვას
თვისნი ქვეყნადომნი, და მაშინ მიზნნი
ალარაფის ექნება უარ-ჰყოს იმის ამ
გვარი უფლებათა.

— მარკოზ ძენგს ტონკინის საქ-
მეების შესახებ ერთის გავითარს რე-
დაქტორისთვის მიუწერია ფრიად სა-
ინტერესო წერილი, რომლიდამაც
მოგვყავს საქრთველიმთხანდელი. ამ
წერილიდგან სჩანს, რომ მარკოზ ძენგს
თუმცა ცხრად არ მიანიბა ეხლანდემ-
ლო ჩინეთის მდგომარეობა, მაგრამ
ჩინეთი საფრანგეთთან მოსარჩებ-
ლად არავის უშაგვლობას არ დაე-
ძებს და არც მიიღებს, გინდ იკისროს
კიდევ რამეც. უშაგვლობაა — იმას
სრულიად უარ ემინიბან საფრანგეთ-
თან პირდაპირ შეტაკებას. წერი-
ლით მოგვიერთა აღვიღებდგან სჩანს,
რომ ჩინეთს დიდად წარმოდგენა აქვს
თავის თავზე, და სოჯადილოს დაცინ-
ვითაც ლაპარაკობს მარკოზ ძენგის მი-
ადგილსაც, მაგ, სხვათა შორის, ამბობს,
რომ სონტანის აღება და ჭრანტუზების
ვაქცაობა შეუძლებელი იარაღი და,
თუ ქმის, მეცის და სტრასბურგის უკან
დაბრუნებას, ედარებინა, მაგრამ ჩინეთი
თი ჯარი კიდევ ძალიან შორს არის
სულანიდამო. ძენგი თავის წერილში
იქამდინ მიდის, რომ ბოლოს არამც-
თუ საფრანგეთს, მთელი მეროპის სა-
ხელმწიფოთაც ემუქარება, აი რასა-
სწერს: «თუმცა ინგლისს და მერმანის
ერთი სიტყვის თქმით შეწყობიანთ შე-
ჩერონ საფრანგეთი და ჩინეთისათვის
თავი დაანებებინონ, მაგრამ არც ერთ-
თი სახელმწიფო ხმას არ იღებდა მს

დიდი შეცდომაა მათის მხრივ და ძა-
ლიან შესაძლებელია, რომ ეს შეც-
დომა ბოლოს სანაურად გაუხდეთ
მათ. ჩინეთი აქამდის ჰუიკობდა
უცხო ქვეყნიურს საქონელზე ბაჟი
მოესპო და ეხლა კი შესაძლებელია
მოსპობის მაგეროდ უფრო მოუმა-
ტოს, ერთი-ორად გახადოს, რადგა-
ნაც საფრანგეთი თავისი მოუსვენარი
მოქმედებით და კოლონიების შეძენის
სურვილით დიდ ხარჯს აწევენებს, და
ამის გამო ჩინეთი იძულებული გახ-
დება ეს ხარჯი უცხო ქვეყნიურ სა-
ქონელზე ბაჟის მომატებით შეე-
სოს.

სულაბრამი
(ჩრდილოეთის საგვერდისი.)
12 იანვარს.

პატარა შრამი. «მმართველობის
მოამბეში» გამოცხადებულია ის ფა-
სები, რა ფასადაც სარგებლიანი
ქადაღდები მიიღებინ გირაოდ
არკის აქციონის გადასახადში 1884
წლის პირველს ნახევარში.
გუშინ მოვიდა აქ იტალიის ელ-
ჩი გრაფი გრევი.
გრეფი ლორის-მელიქოვი ბევ-
რით უკეთ არის, მაგრამ ბოტკი-
ნი ამბობს, რომ სრული მოსვე-
ნება ეჭირვებაო.

ბამო. გავითა კასპიი ამბობს,
რომ შაჰის ძმას დაუმარცხებია
თურქმენების და მერველების თა-
რეშები, რომელნიც მეშხედს დას-
ცემოდენ.

პარიში. ჭრანტუზები ბავნიან
არ დაესხმიან, როგორც ამბობ-
დენ, მარტამდე, სანამ ახალი ჯა-
რი არ მიეშველება.

ბერლინი. იმპერატორმა ანატოია
მიუნსტერის ევისკოპოსს ბრინგ-
მანს, რომელიც თანამდებობიდან
გადაყენებული იყო პრუსიაში პო-
ლიტიკო-ეკლესიურის ბრძოლის
დასაწყისში პრუსიაში, სხვათა ევის-
კოპოსთა შორის.

განსხალაგანი

არწრენის თეატრი.
კვირას, 15 იანვარს
ბენეფიცი ა. მ. მოსპვისა
ქართული დრამატიული დასის ამხანა-
გობისაგან წარმოდგენილი იქნება

ალგელაგი

II
თამარ-ბატონი. შვილი
მეოთხე მოქმედება.
III
ს უ ლ უ ბ ი
ვოდველი 1 მოქმედება. ჭრანტუზუ-
ლიდან, ბ. მოხუბარაძისა.
დასაწყისი 8 საათზედ. (3—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1884 годъ
на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету

„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.
ГОДЪ ПЯТЫЙ.
УСЛОВІЯ ПОДПИСКИ.

Съ доставкой въ Москвѣ:		Съ пересылкою въ города:	
На 12 мѣс. 8 р. 50 к.	На 6 мѣс. 4 р. 50 к.	На 12 мѣс. 9 р. — к.	На 6 мѣс. 5 р. — к.
> 11 > 8 > — >	> 5 > 3 > 25 >	> 11 > 8 > 50 >	> 5 > 4 > 60 >
> 10 > 7 > 50 >	> 4 > 3 > 25 >	> 10 > 8 > — >	> 4 > 3 > 70 >
> 9 > 6 > 75 >	> 3 > 2 > 50 >	> 9 > 7 > 40 >	> 3 > 2 > 75 >
> 8 > 6 > — >	> 2 > 1 > 90 >	> 8 > 6 > 70 >	> 2 > 2 > — >
> 7 > 5 > 25 >	> 1 > 1 > — >	> 7 > 5 > 90 >	> 1 > 1 > 10 >

За границу: на 12 м. 17 р., на 6 м. 9 р., на 3 м. 5 р., на 1 м. 2 р.
Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій
мостъ, домъ Н. П. Ланина; въ извѣстныхъ книжныхъ магази-
нахъ Москвы и С.-Петербурга и въ Парижѣ—Rue Clément, 4
Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору-
изданія «РУССКІЙ КУРЬЕРЪ».
Редакторъ-Издатель Н. П. Ланинъ.


ინგლისის მალაზიამი
თის-ალოპანი  **შაპ-მასტარი**
ამაგრებს თმას და ადრინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-
სა 2 მანკი, გაგზავნით 2 მანკით
და 28 კაპ. (100—82)

ქ უ რ ნ ა ლ ი
„ქართული ბიბლიოთეკა“
(წელიწადი მეორე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ქურნალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ-
თთვე-და-თთვე იმავე სახით და სიერკით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

სელის მოწერა მიიღება:
მუთისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმ-
ყოფება თფილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სახლში.
თფილისში: ბ. შაქარია შიკინაძესთან, ჩარკვიანის წიგნის მალაზიამი.
ბორში: — მკ. შურცელაძისას.
ბათუმში: — იულია დავითის ძასული ჩხეიძისას.
შოთში: — ნატ. მაჭარავისას.

შანი მთელის წლისა 6 მან.
შალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ქურნალი:
Въ Кутаисѣ, въ редакцію журнала «ГРУЗИНОКАЯ БИБ-
ЛОТЕКА».
... ხვედრი თული ხელის-მომწერთა ქურნალის დაბარებისათანავე უნდა
გამოგზავნონ რედაქციაში.
(10—6) რედაქტორი — გამოცემული ეკ. ლორთქიფანიძისა.

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი
რომლებთანც შეიძლება წერა სულ მსვილ, უსუეთა ქადალი. ერთად-ერთი
სააგენტო — ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები,
უკულის „ხელისათვის“ — 25% ათვად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქადალი,
განკრები, რკულები, ლაქი, კარხანა, პენალი, კალმები, ბუძაყინაგები, შარტ-
სიგარები, ალბომები, რამეები, მაკრატლები, სამართლები, სანთელი, საღესი,
ცანკები ქურტლების საწმად (ბორჯაი), თუთრულისათვის, შატარა ხაღვი
ასტაისათვის კლიონგები, ტხტები, საჯარდლები, საკუები, სავარცხლები, ბუშე-
ნნი, ზარები, ბინკალები რულები, გატრხანები, შის-საათები, გომპასუბი,
ტრამპეტები, ქეკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოვი, შომიჩი, ქამრები,
სარტულები, საყელური, პრობები, საპრობები, კრანები, ჭილტრები, შოტკეა,
თავის. ტანისამოსის, ცხენის და შატრტანის მაინტაშები, კრავები, საქიმო
ქადალი გატრ-კლოპტისათვის და სხვ. და სხვ.
პატაშკი — 20 კ. (100—16)